56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მმართველი შვებულებაში

— თერთმეტ თვეს კარგად და არხეინად ისვენებდა ჩვენი მმართველი; სამაგიეროდ ახლა, ერთი თვით, აგარაკზე დიდი დატვირთვა მოელის—გაინძრევა, გამოინძრევა, ქონებს დაყრის, რომ ახალი ენერგიით შეუდგეს თავის კაბინეტში დასვენებას.

ეშაკი

№ 12 ივნისი. თბილისი. გამოცემის წელი XXXIV ფასი 2 მან. 1956

პირველი სექტემბრიდან უქმდება სწავლის გადასახადი

ნახ. ა. კანდელაკისა

— ეს რა გამოვიდა: სწავლის ქირის ყალბ ქვითარს რომ მივიტანდი, მაშინ მაინც იჯერებდა მამაჩემი, რომ ვსწავლობ.

მოკითხვით და ხუმრულ საყვედურით

სამგორჰესმშენის სამმართველოს უფროსს გ. ვ. მესხს

მუდამ სასურველო და სანატრელო გრიგოლ!

ამ ცოტა ხნის წინ წნორის მტს-ის ტრაქტორებმა შენთან საყვედური დამაბარეს. ალბათ იტყვი, სად მე—ელექტროსადგურების მშენებელი, და სად ტრაქტორებიო?! მაგრამ ნუ გაიკვირვებ, ხომ გაგიგონია: მთა მთას არ შეხვდება და... ტრაქტორი კაცს—ყოველთვისო. მართალი გითხრა, ბევრი კი ვეხვეწე და ვარწმუნე ტრაქტორები, გუთნები და კომბაინები, ვუხსნიდი, ერთი საწყალი კაცია ჩვენი გრიგოლი, ნუ უსაყვედურებთ, ამოდენა სამმართველო აბარია და თქვენამდე ხელი როგორ მოაწვდინოს-მეთქი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არაფერი გამივიდა. ჯიუტები ყოფილან ეს ტრაქტორები: ადუღლუნდნენ, აბუტბუტდნენ, ერთი ყოფა დამაწიეს, ჰოდა, იმ ხმაურსა და გნიასში რაღას გავაგონებდი! ერთს კი მოვკარი ყური: ძალიან ემდურიან სამუშაოთა მწარმოებელს ილია ტრიანდაფილოს, რომელიც შენ წნორში მიავლინე და მტს-ის მშენებლობა ჩააბარე. ამ ტრიანდაფილოს არც კაცის ხათრი ჰქონია და არც გუთნისა. იაფად, სწრაფად და კარგად რომ უნდა ვაშენოთ, ეს, ეტყობა, კი გაუგია, მაგრამ, რომ მარტო გაუგია და არ კი უგრძვნია, იქიდან ჩანს, რომ მტს-ში აშენებული ობიექტების უმრავლესობა ან უკვე გასარემონტებელია, ან გადასაკეთებელი, ან დასამთავრებელი. ჰოდა, იაფად როგორააშენებდა, ამას თვითონ მიხვდი.

ახლა, მე რომ ილიას ხასიათი ვიცი, შემედავება, ეს სიტყვებია, ფაქტი მიჩვენეო. მაშ მოდი მე, შენ და ილია ტრიანდაფილომ მტს-ი მოვიაროთ.

გაგონილი გექნება ანდაზა—„მტერს გარედან უბრმავებს თვალს, მოყვარეს—შიგნიდანო“. სახელოსნოს რომ შეხედავ, იტყვი, რომ ეს სახელოსნო შიგნითაც და გარეთაც ერთნაირად მხოლოდ მოყვარეს აბრმავებს. აბა რომელ მოყვარეს არ ეტკინება თვალი, როცა ნახავს, მიწაში გაჟონილი წვიმის წყლისაგან როგორ დანესტიანებულა სახელოსნოს ოთხივე კედელი, მიწიდან ერთნახევარი მეტრის სიმაღლეზე, ალაგ-ალაგ როგორ ცვივა ბათქაში და კიბეც ინგრევა, სახურავიდანაც წყალი ჩამოდის და ოთხივე კედელი სველდება, ასე რომ მთლიანად სახელოსნო ერთ უცნაურ კუნძულსა ჰგავს, რომელსაც ზემოდან და ქვემოდან წყალი შესდგომია.

ახლა, თუ გნებავს, „კუნძულელებსაც“ ვეწვიოთ. აგერ ერთ-ერთი „კუნძულელი“, ხარატი გივი ჯიბლაშვილი; ატრიალებს ჩარხს და, ალბათ, ამ მონოტონურმა გუგუნმა რომ არ მოაწყინოს, დროდადრო კისერში წვიმის წყალი ესხმება. ერთ დღეს ისე დასველდა იატაკი, რომ ჩარხთან მდგომ ჯიბლაშვილს დენმა დაჰკრა და კარგა მაღლა შეახტუნა. ალბათ ესეც „გასამხიარულებლად“. სად არის სამართალი, თორემ ეს დენი, მე ვიცი ვისაც უნდა „ამხიარულებდეს“.

სიტყვა გამიგრძელდა და ყველა ობიექტზე დაწვრილებით ვერ შევჩერდები. მხოლოდ გაგახსენებ, რომ სატრანსფორმატორო კიოსკშიც ჩამოდის წყალი, კარგა მოზრდილი გუბე დგება და ხელსაწყოებს შიშით ვერვინ მიეკარება; სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფარდულის წინ თხრილის გაყვანა „დაგვიწყებიათ“ და წვიმის დროს ფარდულში ნიაღვარი შედის; ტრაქტორების გარაჟს ორმხრივ ჩასდის წვიმა; კომბაინების ფარდული ნახევრადგადაუხურავია და, რა თქმა უნდა, იქაც წვიმა მოთქრიალებს; კანტორის შენობას წყალსაწრეტი მილები არ გაუკეთეს და კედლებს წურწურით ჩამოსდის წვიმის წყალი, ასე რომ შორიდან მთელი შენობა აცრემლებული გეგონება.

მაშ გამოდის, რომ მთლიანად მტს-ისათვის წყალი შეგიყენებიათ. დიდი ხანია, რაც ამას შეეჩვივნენ მტს-ში და აღარავის უკვირს. გასაკვირი ის არის, რომ ამოდენა „წვიმისმომყვანი“ ტრიანდაფილო მაინც მშრალად გამოვიდა...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო გრიგოლ, ისევ ძველ ანდაზას დავუბრუნდები, რომელიც ჩვენს დროში შეიცვალა და ახლა არათუ მთა მთას, ზღვა ზღვას ხვდება და ვის გაუკვირდება ტრაქტორი კაცს შეხვდეს! შენ კი გეგონა, ტრაქტორებს ამ პარკს როგორმე ავუშენებ და მერე სადღა შემხვდებიან, საყვედურის თქმა ძალიანაც რომ უნდოდეთო.

ხედავ, სად გისაყვედურეს!

სხვა მხრივ, კარგად ყოფნასა და მრავალი მტს-ის აშენებას გისურვებ, ჩემო გრიგოლ! ჰო, მართლა, ყური მოვკარი, ი. ტრიანდაფილოს ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის მტსელებისთვისაც კარგი „პატივი უცია“, იმათაც წვიმა დასდით და წყალში დგანანო.

დავშთები შენი მშენებლობის სტილით აღფრთოვანებული

ნიანგი

ჭადრაკული გაუგებრობა

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრებების შემაჯამებელ საღამოზე, ძერჟინსკის სახკლუბში, პირველ ადგილზე გამოსულ ნონა გაფრინდაშვილს არ უშვებდნენ, პატარა ხარო.

ნახ. ე. მაყაშვილისა

დარაჯი—სად მოგყავთ ეს გოგონა? ბავშვები 16 წლამდე არ დაიშვებიან.



— ეს განცხადება ნეტა მარტო ჩვენთვის არის, თუ დირექტორსაც ეხება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვიპოვე და დავკარგე შვილი

ჩამოვედი თუ არა თბილისის სადგურზე, ხურჯინი მხარზე გადავიკიდე და ჩემი დის სახლისკენ გავსწიე. ეტყობა, ელოდებოდნენ ჩემს ჩამოსვლას, რადგან ბინის გასაღები მეზობელთან დაეტოვებინათ. გავაღე ოთახი, შევათრიე ხურჯინი და მაშინვე თვალი გამექცა ჩემი ბიჭის პალტოსკენ, რომელიც ობლად ეკიდა კედელზე. ვენაცვალე ბუხუტის, უკვე ხუთი თვეა, აღარ მინახავს. ალბათ ახლა სამეცადინოთაა წასული ამხანაგებთან, იტანჯება ბიჭი ამ სიცხეში. მაგრამ რა ქნას, ხომ არ შემარცხვენს, ხომ უნდა გადავიდეს მესამე კურსზე. ისე, რაც შემიძლია, კი ვეხმარები, გუშინწინ ხუთასი მანეთი გამოვუგზავნე, ალბათ, მიიღო. დღეს კი, აგერ, თეთრი ღვინო და დედამისის გაკეთებული ხაჭაპურები ჩამოვუტანე, ჩააბარებს გამოცდებს და დალიოს, შეერგება.

ოთახში გავიარ-გამოვიარე. აგერ, მაგიდაზე ჩემი ბიჭის წიგნი დევს. იქ, საწოლის ქვეშ, ფეხსაცმელები ყრია... რა მემართება, არ ვიცი, ისე მომენატრა, თითქოს პატარა იყოს. ვგრძნობ, თვითონ ენატრება მამა და ამიტომ მეცოდება.

სარკის ჩარჩოში რაღაც სურათებია ჩამაგრებული. ვათვალიერებ. აგერ ახალი სურათი გადაუღია ბუხუტის, თავის ამხანაგებთან ზის ბაღში... უფრო მომეკიდა მისი ნახვის სურვილი. ნეტა, როდის დაბრუნდება შინ? თვალი ტელეფონისკენ გამირბის. მაგრამ ვაი, რომ ბუხუტის არც ერთი ამხანაგის ტელეფონის ნომერი არ მახსოვს. რომელიმეს მაინც ეცოდინებოდა მისი ადგილსამყოფელი.

ბიჭოს, აი, ბედი თუ გინდა, ეს არი. ბუხუტის წიგნს, რომელიც მაგიდაზე დევს, უკანა ყდაზე რაღაც ტელეფონის ნომრები აწერია. აბა, ერთი ვცდი და დავრეკავ. რა თქმა უნდა, ეს გულითადი ამხანაგებისა და უახლოესი ნაცნობების ტელეფონის ნომრებია, სხვას რატომ ჩაიწერდა...

ვრეკავ პირველივე ნომერს:

—გისმენთ ფუნიკულორის საბილიარდო...

გველნაკბენივით ჩამოვკიდე ყურმილი და ბოდიში მერე მოვუხადე იმ კაცს. ავკრიფე მეორე ნომერი:

—ჩვენთან, გენაცვალე, „ტერეზა რაკენი“ გადის, 6-ზე, 8-ზე და 10-ზე... დიახ, — მიპასუხეს გაჯავრებით და ახლა მე ჩამომიკიდეს ყურმილი.

მესამე ნომერზე ვცადე ბედი. არ პასუხობს. დაკავებულია. აი, ნამდვილად ეს იქნება ბუხუტის ამხანაგის ნომერი-მეთქი. ვრეკავ ხელმეორედ. ისევ წყვეტილი ხმებია. უფრო მემატება იმედი. დავრეკე მესამე და...

-- წაავო, წაავო, 2:3-ზე წაავო,—დამიყვირა ვიღაც კაცმა და სანამ ყურმილს ჩამოკიდებდა, თავისთვის ჩაილაპარაკა— გააწყალეს გული...

გული კი მართლაც გამიწყალდა ამდენი რეკვით, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ. ვრეკავ შემდეგ ნომერს.

— ბატონო, ბუხუტი ვაშაყმაძე...

— აა, ვაშაყმაძე ბრძანდები? მოიტანე ფული და წაიღე შენი პასპორტი და საათი...

— რომელ საათზე ბრძანებთ, ბატონო...

— 12-მდე როცა გინდა, შემოიარე, ვითომ არ იცი, რომელ საათებში მუშაობს რესტორანი...

ფუი ეშმაკს, ჩამოვკიდე. ისევ დავრეკე:

— თუ შეიძლება მითხარით...

მაგრამ ქალის ნაზმა, მორიდებულმა ხმამ არ დამაცადა:

— ოჰ, თქვენა ხართ? რა ვქნა ახლა, როგორ გაწყენინოთ, მეუღლე ბრძანდებით ხომ?.. რა ვქნა, არ მინდა გაწყენინოთ, მაგრამ გოგო შეგეძინათ...

დალახვროს ეშმაკმა, ეს რა ხათაბალას გადავეკიდე. დავხედე წიგნის წინა ყდას, აწერია: „მეღვინეობის კურსი“. უფრო დიდი ასოებით კი ჩემს ბიჭს მელნით გამოუყვანია: „ბუხუტი ვაშაყმაძე“.

არა, ეს ნამდვილად ჩემი ბიჭის წიგნია. ტელეფონის ნომრებიც მისი ხელითაა დაწერილი. რაც იყოს და იყოს-მეთქი და კიდევ ერთი ნომერი ვცადე:

— გისმენთ მილიციის მორიგე ჯანიკაშვილი!—მომესმა გამოკვეთილი ხმა. მაგრამ ისე ვიყავი გამწარებული, რომ ყურადღება ვეღარ მივაქციე ამ სიტყვების შინაარსს და უნებურად ვიკითხე:

— მანდ ხომ არ არის ბუხუტი?

— რომელი ბუხუტი?

— ვაშაყმაძე, ბატონო, ჩემი შვილი.

— აა, მამა ბრძანდებით? სწორედ ახლა შემოიყვანეს...

— ვინ, ბატონო, ვინ შემოიყვანეს?!

— ვინ და თქვენი შვილი, ბუხუტი ვაშაყმაძე.

— სად, ბატონო?

— სად რეკავთ, არ იცით? გეტყობათ ერთად სვამდით.

— რაშია საქმე?!

— რაშია და ტროტუარზე ეძინა გალეშილს, არ იცოდით, რომ ტროტუარზე ძილი აკრძალულია?

— თუ შეიძლება დამალაპარაკეთ, ძალიან გთხოვთ.

— კეთილი, თუკი შესძლებს...

ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონში რაღაც ფრუტუნის მსგავსი მოისმა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ბიჭო, ბუხუტი, მე... ამ დილით ჩამოვედი.

-- ვაჰ, ოთარი ხარ? ს პრიეზდომ... რა ამბებია გაგრაში?

— ბიჭო, ოთარი კი არა...

— იცი რას გეტყვი?.. ახლა, გაიგე?.. ახლა განყოფილებაში ვზივარ... საღამოს გამოიარე, გაიგე?... მამაჩემი უნდა ჩამოვიდეს სოფლიდან... ხომ მიხვდი, ღვინო იქნება, დავლიოთ... გაიგე?.. ახლა პაკა, წავედი...

წახვედი, შვილო, მართლა წახვედი ხელიდან, გავიფიქრე ცრემლმორეულმა, და ქუჩაში გავვარდი.

ოමეგა ალფაიძე

ოჩამჩირეს რაიონის სოფელ კოჩარას კოლმეურნეობას დიდი დანახარჯების გამო თითო კვერცხი დაუჯდა 37 მანეთი

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა

—სახანძრო რაზმია?.. უშველეთ, კოჩარას კოლმეურნეობაში ქათმის კვერცხებს ცეცხლი უკიდია!

ჩემი ავტომგზავრობა

ჩვენი რაიონის ავტოეკიპაჟი... აქედან ყველა მიმართულებით მიმოკკრიან ავტობუსები. ადრიანად გადაფენილი ხალითი. უცდით ბანჭანების ჩამოდგომას, ბიღუფები თუქა დამონირილი. მაინც ყველა ცდილობს წინ იდგეს. პირველი მოხვედა ბანჭანაში. ამას თავისი მიზეზი აქვს: ეროთაც ენამოთ, უმიღლეთო ნაცნობი გამოჩნდეს. შეუ, დაიკავეს შენ ადგილს, პროტესტს განაცხადებ თუ?

— ეე, ხიბლო. „მოგიალერსებს“ პეტა შოფერი.—რას ყიჟინე, წილში გეტყოფ ეგ სკამი? თოლ. ოჯდეს, ძმაკაცია. შენ? ეგ „ანამანანაგდეი ან ზედ გამრტყელდი. სულ ეროთი არ არის?

ამ ეროვნებრტს ვეღარ დაარღვევ. ამიტომ უნდა ეცადო. შენს ადგილს დროზე დაიპატრონო. ამით აიხსნება, რომ „ჩამოდგება თუ არა ბანჭანა, იწყება „შეტრაბი“.

— შაგიშეო. კაცო!

— გამაატუ. ეი!

— გამოდი აქეთ. ე ტიკი უნდა შაეტანო!

— მაიეა, დედაკაცო. სად მოგაყავს ე ბერეკაკი. ტალიანანა!

— ეი, ქა, ლორი ტალიანინი იქნება, ბაშ დადეხელ ხომ არ მოვეკანონ?

— ბიღეფები, ბიღეფები გაიაზადეთ! — იაპლის კონტროლიორის ხმა.—შენი ბიღეფთი, ქიტეს!

— მაიეა კაცო, რა ბიღეფთი მინდა? პეტასთან მოვრიგდები ბაზეია.

— გამიშვით!..

და იერიალებს ხალი. მოდი და გაარჩიე ბიღეფთანი და უბილეფოო. გაწკმაწია. კონტროლიორი ყვირის. უბიღეფო ღრიალებს, ბიღეფთანი წრიპანებს, ბანჭანა იფსება ხალხთან, ბარგთა და ბოქლეფთან...

მე, ამ გაწყმაწვის მოწმე და აქტიური მონაწილე — სისხლეფთან ვივსები, როცა ჩემს სკამს ვეპატრონები. თავლეში ვაკეკეკენ. მიეკრეს— როგორ დიდია ამ ეკეკ დაკავალეკებელ ბანჭანას ეს ბიღეფთი, როგორ გაფეძლეს ავი სიმძიმეკ. როგორ ავეატრეს ატმარეკეს?

სიგნალი. ბანჭანა კენტსა-ტეკილეთ დაეშვა დაღმართზე, ეკიარა ეაკე. შეეფდა ალმარეს. ფარიკაკი ჩაკეკა. ყველამ თითეს სარეთ ენა გაეონანა და „ეხლა.მოლაკედა“. ერთმა ეუნიფეთო ძალთ ინეფსტეარიდან გამოეკანილი ენინელეთი სავიე ვეეტ კალათა ნეტლებრე დამადგა და შეიამაგონებდაგ ბითხოა:

— „ინეფსტეარ“ თითო ბანაოაო ეეიიფეე, შეეიო. ობლეეი ირიან, არ ფიანეკ.ლერეო! ჩანილერეი ჩ.ბოეკეკეან!

ეაკე გამაეეეა ამ ბეზაკოანია ეაკეეე

კადრების საქმე

ამ ბოლო დროს სცენარების წერა ბევრმა დაიწყო, რაც დიდად სასიხარულოა. სცენარები რომ მარტო იმათ წერონ, ვინც ეს საქმე კარგად იცის და ვისაც ეს შეუძლია, მაშინ ჩვენ შეიძლება არ გვქონოდა ისეთი მაღალმხატვრული ფილმი, როგორიც «ეთერის სიმღერაა», რომელმაც ახლახან გაინავარდა ქართულ ეკრანზე.

სცენარი ცოტათი პიესას გავს, ასევე პიესაც ჩამოგავს სცენარს, მართალია «ეთერის სიმღერაზე» ამბობენ არაფერს გავსო, მაგრამ ეს გამონაკლისია. ძირითადად, როგორც აღვნიშნე ასეა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა დავამტკიცო, სცენარის დაწერა ადვილია. მართალია სცენარს და კინოს თავისი სპეციფიკა აქვს, კერძოდ ის, რომ კინოს გადაღება კადრებით იწყება, კინოში კადრები სწყვეტენ ყველაფერს, ხანდახან კადრებსაც სწყვეტენ, მაგრამ ეგ არაფერი. ძირითადად, სცენარი და კინო კადრების საქმეა და ადამიანმა თუ იკადრა, ყველაფერს დაწერს და გადაიღებს.

კინო დღეს ხელოვნების ყველაზე პოპულარული დარგია, კინო ჩვენი საუკუნის სიამაყეა, კინო არყევს, ამტვრევს, ლეწს მრავალი კინოთეატრის კარებს და მინებს, კინო ზრდის მაქსიმუმამდე მათი დირექტორების, მოლარეებისა და ადმინისტრატორების ავტორიტეტს ორშაბათობით...

როდესაც რეკლამებმა გვახარა «ეთერის სიმღერის» დაბადება, მე და ჩემი მეგობარი ეთერი კინოში გავვარდით. «ყველა ბილეთი გაყიდულია»,— გამოკრულია განცხადება,

— არიქა, დირექტორთან! — მეუბნება ეთერი.

დირექტორი დამალულია, ვეცი ადმინისტრატორს. ადმინისტრატორიც დამალულია. სამაგიეროდ, სპეკულანტი აღმოჩნდა თავის ადგილზე.

— ორი ბილეთი, პირველი რიგი, ოცი მანეთი.

— უკაცრავად, მეორე რიგი მაინც გექნებათ, ცოდვა ვართ,—ვკადრე სპეკულანტს.

— არა.

რაღას ვიზამდი, ვიყიდეთ. შევედით. დაიწყო.

თავიდან ყველაფერი ისე მიდის, როგორც კინოში.

აი ფალიაშვილი იგონებს თავის ახალგაზრდობას: მთა, წარმტაცი ბუნება, სალამურის ნარნარი ხმა. ზის მოხუცი და რაციონალურად იყენებს სამუშაო დროს, თლის სალამურებს.

მას უახლოვდება შვილიშვილი ეთერი და სთხოვს გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, რათა ბაზრობისათვის 50 სალამური იყოს მზად. ბაბუა პირობას დებს, რომ გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს. შემდეგ მოფრინდება ფერია და ისევ გაფრინდება. ფალიაშვილი სთხოვს ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო, მაგრამ რა ქნას საწყალმა ფერიამ... შემდეგ ბაზრობა. ჟორჟოლიანის გამოჩენა გამოაცოცხლებს დარბაზს, იგივე მოჰყვება ეკრანზე კვანტალიანის გამოჩენას. მერე უამრავი ამაღელვებელი კადრები. განსაკუთრებული სიძლიერითაა გადაღებული, როდესაც ეთერი და აბესალომი ხვდებიან ერთმანეთს. აქ რეჟისორს გარკვეულ სიძნელეებთან ექნებოდა საქმე, რადგან საქართველოში, მოგეხსენებათ, ტყე არ არის, არც ფიჩხი მოიძებნება, მაგრამ რეჟისორს ოსტატურად გადაუწყვეტია საქმე და ეს ადგილები დეკორაციებში გადაღია. სხვათა შორის, ხე, თუ არ დაკვირდები, ნამდვილი გეგონება. კარგადაა გაკეთებული ფიჩხიც, ზომაზე მოჭრილი, დაახლოებით 40 სანტიმეტრი თითო. ეს ფაქტი უეჭველად მისასალმებელია, რადგან ასეთი ფიჩხი საგრძნობლად შეუწყობს ხელს ობლის კვერის დროზე გამოცხობას.

თანდათან სურათი იპყრობს დარბაზს, ცალკეული კადრები ისეთი ძლიერია, რომ მაყურებელი აქვე უზიარებს ერთმანეთს შთაბეჭდილებას.

— ის მოხუცი ვინაა, კაცო, კონცერტი რომ მიატოვა და მიდის?

— მგონი აკაკი წერეთელია.

— რას მეუბნები, სხვათა შორის, ჩამოგავს, ხომ იცი შენ!

— ისე ძალიან კი გამოცვლილა.

— ის კაცი ვიღანაა, აკაკის რომ ახლავს?

— ვაჟა-ფშაველა!

— ?!..

როდესაც გავიგე, ეს ორი უცნობი ჩვენი დიდი წინაპრები ყოფილან, ცუდად გავხდი. გარეთ დავაპირე გასვლა.

— ძვირფასო ეთერ, გშორდები,—ვეუბნები.

— ნუ მიმატოვებ.—მეუბნება.

— ერთი წუთით გავალ, იქნებ ცოტა მოვჯობინდე.

— კარგი, მეც წამოვალ, მაგრამ რას იტყვიან?

— ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, გული გაუპოს დანამა.

თანდათან რთულდება საქმე. ფალიაშვილს უკვდება ბავშვი. ეს დიდი ტრავმაა მშობლებისთვის და ამიტომ კვაჭაძე ვაჟკაცურად გამოვარდება წვიმაში, მიბარბაცებს, თვალებს აბრიალებს, თანდათან ფეხი ერევა.

— არ ეკადრებოდა ასეთ დროს დათრობა!— ამბობს ვიღაცა.

— რას ამბობ, მთვრალი არ არის.

კვაჭაძე მოწყვეტით ეცემა.

— ახლაც იტყვი, მთვრალი არ არისო?

— ბოდიში, ბატონო.

ამის შემდეგ ზაქარია ავად ხდება, მორჩება, მთაში წავა, გაზრდილ ეთერს ნახავს, ზღაპარს მოისმენს. გაზრდილი ეთერი მოკვდება, დარჩება გაუზრდელი ეთერი, რომელსაც ზრდიან. ცოტა ხნის შემდეგ იწყება სროლა, მენშევიკები გარბიან საქართველოდან, მაყურებლები — კინოდან. ბოლოს ყველაფერი კარგად თავდება: ზაქარია ფალიაშვილი კომპოზიტორი გამოდის, კარგ თანამდებობაზე იწყებს მუშაობას და... კინოც თავდება.

— ვაი სირცხვილო! ეს ეკადრებოდა ჩვენს ზაქარია ფალიაშვილს? ჩვენს სიამაყეს? ეს იყო მისი ცხოვრება და მოღვაწეობა? ვაი რავა საქვეყნოდ მოგვეჭრა თავი! ამაზეა ნათქვამი—ვინ გამოგჭრა ყელი და საკუთარმა ძმამაო,—ღელავს ვიღაც ქალი.

— ბოდიში, ქალბატონო, ვინ არის თქვენი ძმა—რეჟისორი თუ სცენარისტი?—ვეკითხები. ქალი კვაჭაძეზე უარესად მიბრიალებს თვალებს და სასწრაფოდ ვერიდები. არიან ადამიანები, რომლებსაც არაფერი არ მოსწონთ ქვეყანაზე. მე ეს ქალი მათ რიცხვს მივაკუთვნე და აჩქარებული ნაბიჯით წამოვედი სახლისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ სცენარისტობა დავიწყო. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, სცენარის დაწერა და კინოს გადაღება კადრების საქმეა.

ჯვეგე დუმბავა



უტექსტო ხუმრობა **დონისა**

ნახ. **დონისა**

—რას ელოდები აქ, ავქსენტი?

—იპოლიტე დამენიძლავა, ორ წუთს გავძლებ დაყვინთულიო და აგერ საათნახევარია, თავი არ ამოუყვია წყლიდან.

—ყოჩაღ, იპოლიტე!..

ყველაზე ლამაზი

უმაღლესი დაამთავრა
არ წავიდა რაიონს,
რუსთაველზე ხვდება მუდამ
დაისსა და ალიონს.

წელს მეხუთედ ჩაჭრეს ლილი,
აგვიტირდა ძალიან,
გაისადაც უნდა სცადოს,—
«პრინციპული» ქალია!

ბიჭმა უთხრა შეყვარებულს:
— გოგო, შენ გენაცვალე,
«ატელიე» ხომ არა ხარ,
უღმერთოდ რომ მაწვალებ?

დღეს თეატრში მიბრძანდება
შაქროს ქალი ფაცია,
უნდა ნახოს ყურადღებით...
ვის რა კაბა აცვია!

ახალ სახლში გადავედი,
წვიმა მაინც მასველებს,—
ვიწრო კარი, ვიწრო კიბე.
პაპა აღარ მასვენებს,
მეკითხება:—რომ მოვკვდები
როგორღა გამასვენებთ!

კ. გელათელი

ასანთის ფაბრიკაში

ნახ. გ. ფირცხალავახი

— კრიტიკას ვერ იტანს ჩვენი დირექტორი, ორ სიტყვას ეტყვი და მაშინვე ასანთივით იფეთქებს.

— თუ ჩვენი ფაბრიკის ასანთს გულისხმობ, საშიში არაფერი ყოფილა.

დასაბუთებული პასუხი

ნახ. ჯ. ლოლუასი

—ამდენს რომ იპარავ, სინდისი აღარა გაქვს?

—რა ვქნა, გენაცვალე, რევიზიას ველოდები!..



№ 175 9/VII 56

თემა გ. როსებაშვილისა ნახ. ბ. გოგოლაძისა

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში. | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 12, ხელმოწ. დასაბ. 26/VI-1956 წ. ქაღ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეკვ. № 648. უე 00289. ტირ. 25.000.

ვაისბადენში ბაიმართა ცნობილ ჰიტლერელთა შეკრება, სადაც ყოფილმა ნაცისტმა, ამჟამად ბონის გენერალმა ჰანს შპეიდელმა ომისგამჩაღებლური სიტყვით მიმართა შეკრებილთ: „ჩვენ გვსურს მივიღოთ თქვენს ხელთაგან აგიზგიზებული ჩირაღდანი და წაგიღოთ იგი შედარებით უფრო ნათელი მომავლისაკენ...“

ნახ. გ. ლომაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ისტორიის გაკვეთილი

ანუ თვალსაჩინო სახელმძღვანელო გენერალ შპეიდელისა და მისი კოლეგებისათვის